დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის მიერ ავტორიზაცი ის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ნოდარ ანგურიძე
წევრ(ებ)ი:
თამარ ჯაფარიძე

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	205089526

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**თბილისი, წყნეთი**
ფაქტობრივი მისამართი	**თბილისი, წყნეთი, რუსთაველის ქუჩა N45**
საფოსტო ინდექსი	**0179**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://buckswood.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**info@bukswood.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	**577992993**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 03.06.2025 წლის ბრძანება MES 4 25 0000613598 და მასში შესული ცვლილება MES 4 25 0000684400, 17.06.2025
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2025 წლის 18 ივნისი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

შპს ბაქსვუდის საერთაშორის სკოლა-თბილისსი ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 03.06.2025 წლის MES 4 25 0000613598 ბრძანების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ექსპერტთა ჯგუფს დაევალა **ცენტრში შემოსულ 2025 წლის 05 მაისს№484901 კორესპონდენციაში ასახული გარემოების გამოკვლევის, შემოწმებისა და მათი დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრული სტანდარტის/სტანდარტების შესაბამისობის დადგენა**. აღნიშნული კორესპოდენციისა და მისი თანმხლები დოკუმენტაციიდან ირკვეოდა, რომ სკოლის ერთ-ერთ არასრულწლოვან მოსწავლეზე ადგილი ჰქონდა ბულინგის შესაძლო შემთხვევას, რის გამოც მოსწავლე (ნ.ვ.-ბიჭი) თებერვლიდან სისტემატიურად არ დადის სკოლაში. სოციალური მუშაკის მიერ შედგა კომუნიკაცია არასრულწლოვანთან და მის ოჯახთან. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ არასრულწლოვანს არ სურს სკოლაში სიარული, რადგან კლასელების მხრიდან არის ჩაგვრის/ბულინგის ობიექტი და მონაწილეობას ვერ იღებს სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში. კორესპოდენციიდან ირკვეოდა, რომ ინფორმაცია განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროში (და შესაბამისად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში) ინფორმაცია შემოვიდა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ქ. თბილისის საქალაქო ცენტრიდან.

ვიზიტის დაწყებამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ავტორიზაციის დებულების ის მუხლები, რომელთა სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა საჭირო იქნებოდა სიტუაციის კომპლექსურად აღქმაში. კერძოდ, გეგმის მიხედვით განისაზღვრა, რომ საჭირო გახდებოდა ინფორმაციის მიღება/გადამოწმება სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები შესახებ; როგორ ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ფიზიკური უსაფრთხოების, ასევე ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შესახებ; ასევე, იმის გამო, რომ მოსწავლე გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ დადიოდა სკოლაში საინტერესო იქნებოდა როგორ იღებს მოსწავლე სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; არის თუ არა სკოლაში მედიაციის პროგრამა, რა წესი მოქმედებს სკოლაში მოსწავლის სტატუსის შეჩერების, კლასისა და საფეხურის დაძლევის და მოსწავლის შეფასების სისტემის თავისებურების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე გამოიკვეთა შემდეგი ინდიკატორები:

3.1.1.1 სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

3.3.2.1. 1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

3.4.1.3 სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

3.4.1.4 სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

4.1.1.1 სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

4.1.2.1 სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

4.1.2.2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

4.2.1.3 მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

ამასთან ერთად, დადგინდა ვიზიტის დღის წესრიგი, ვიზიტის მიმდინარეობის დროს წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა და რესპოდენტ პირთა სია, ვისთანაც ინტერვიუები დაგვეხმარებოდა ცენტრში შამოსული ზემოაღნიშნული კორესპოდენციის გამოკვლევაში.

ვიზიტის დროს სკოლის აკადემიურ დირექტორს გავაცანით ვიზიტის მიზანი, დღის წესრიგი, გადავეცით წარსადგენ დოკუმენტთა სია და დახმარება ვთხოვეთ ჩვენთვის სასურველ პირებთან ინტერვიუების მოწყობაში. სკოლის აკადემიურმა დირექტორმა ბრძანებით გამოყო პირთა წრე, ვისთანაც ექსპეერტთა ჯგუფს მოუწევდა მუშაობა.

სკოლის წარმომადგენლებიდან ინტერვიუ შედგა სკოლის აკადემიურ დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან სააღმზრდელო დარგში (სკოლაში იწოდება სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელად), აკადემიურ საქმეთა კოორდინატორთან, სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, აკადემიური პროცესების მონიტორინგის მენეჯერტან. ასევე, მოსწავლე ნ.ვ.-ს ტუტორთან (ე.წ. „ჰაუსმასტერი“) დისტანციურად. გარდა ამისა დისტანციური ინტერვიუ განხორციელდა მოსწავლე ნ.ვ.-ს მშობლებთან (ცალ-ცალკე) და თავად მოსწავლესთან, რომელთან ინტერვიუს ესწრებოდა მამა. ინტერვიუების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოება. მოსწავლე ნ.ვ. კომპიუტერული თამაშების მოყვარულია და თავის კლასელებთან ერთად (და არა მარტო) თამაშობს გარკვეულ კომპიუტერულ ქსელურ თამაშს. მოთამაშეები პარალელურად ურთიერთობენ ვირტუალური ქსელით ე.წ. „მესენჯერით“. სწორედ ამ მესენჯერში მოხდა მოსწავლე ნ.ვ.-ს მიმართ შეურაცხმყოფელი ეპითეტების გამოყენება, რაც მიზეზი გახდა მოსწავლე ნ.ვ.-ს თავი ეგრძნო დაუცველად და ისედაც მშვიდი ბუნების ბავშვი ჩაიკეტა. ყოველივე ეს ცნობილი გახდა მოსწავლე ნ.ვ.-ს დედისთვის. მან ამის შესახებ ამცნო სკოლას.

სკოლა თავის მხრივ შეეცადა პრობლემა მოლაპარაკების გზით მოეგვარებინა, რა მიზნითაც სკოლაში მოაწყო შეხვედრა კონფლიქტში მონაწილე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შორის, თუმცა, მიუხედავად უფროსების ჩართულობისა, კონფლიქტი ერთი შეხვედრით არ მოგვარდა და გარკვეული დრო დასჭირდა, რა პერიოდშიც მოსწავლე არ დადიოდა სკოლაში. ვიზიტის პერიოდისთვის მოსწავლე ნ.ვ. და მისი მშობლები აცხადებენ, რომ კონფლიქტს მოგვარებულად თვლიან, საკითხი დახურულია და აღარ უნდათ უკან დაუბრუნდნენ საკითხს. ამასთან, კითხვაზე - სკოლის მიმართ გააჩნდათ თუ არა რაიმე სახის პრეტენზია ან უკმაყოფილება - მათ გადაჭრით განაცხადეს, რომ სკოლის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ, პირიქით სკოლამ ყველაფერი გააკეთა, იმისთვის, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარებულიყო. საგულისხმოა, რომ იმ პერიოდში, ვიდრე კონფლიქტი მოგვარდებოდა და მოსწავლე ნ.ვ. უარს აცხადებდა სკოლაში სიარულზე, იმისათვის, რომ მოსწავლე სწავლაში ჩაერთო, საკუთარი ძალებით უშედეგო მცდელობების შემდეგ, სკოლამ დარეკა სოციალურ მუშაკთან, რის შემდეგაც პროცესში ჩაერთო სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ქ. თბილისის საქალაქო ცენტრი, ხოლო მათი ინიციატივით სამინისტრო და ცენტრი.

საგულისხმოა, რომ იმ პერიოდში, როცა მოსწავლეები სკოლაში იმყოფებოდნენ, მაშინ როდესაც ინტერნეტ კონფლიქტი ახალი დაწყებული იყო, ყველა ჩართული მხარე აცხადებს, რომ რეალურ ცხოვრებაში კონფლიქტი და შეურაცხყოფა არ გრძელდებოდა და შეურაცხყოფას მხოლოდ ინტერნეტსივრცეში ჰქონდა ადგილი. ამიტომ იყო რომ კონფლიქტი სკოლისთვის შეუმჩნეველი რჩებოდა, ვიდრე მოსწავლის დედამ არ შეატყობინა. ხოლო, რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ მოსწავლე ნ.ვ.-ს არ ძლევა საშუალება ჩაერთოს სკოლაში სპორტულ აქტივობებში, მოსწავლე ვ.ნ.-მ და მისმა მშობლებმა აღნიშნეს, რომ ეს იმდენად უმნიშვნელო დეტალია ამ საქმიდან, რომ მასზე ყურადღების გამახვილებაც არ სურთ. სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმაც თქვა, რომ არ ახსენდება კონფლიქტი სპორტში ჩართულობასთან დაკავშირებით, მაგრამ არის ხოლმე შემთხვევები, რომ მოსწავლეები გუნდებად გაყოფის დროს მოსწავლე ნ.ვ.-ს დიდი ენთუზიაზმით არ ირჩევენ, მისი საფეხბურთო უნარებიდან გამომდინარე.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულ იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზთან მიმართებაში, შედეგად გამოვლენილი ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში (4.1.2.1. ინდიკატორები), რადგან სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ხარვეზის სტანდარტთან შესაბამისობის მტკიცებულება.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.2.1.	*სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები*	*სკოლას ეძლევა რჩევა: ჩაჭრილი მოსწავლესთვის შანსის მიცემის კრიტერიუმები დააზუსტოს და გახადოს გამჭვირვალე, რათა გამოირიცხოს სუბიექტური გაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.*
ინდიკატორი N4.1.2.2.	*სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს*	*სკოლას ეძლევა რჩევა: იხელმძღვანელოს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებით და ხელი შეუწყოს მის მიერ განათლების მიღების უფლების შეუფერხებლად განხორციელებას*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულების სახით, რომლის მიხედვითაც სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს: დამფუძნებელეთა საბჭო, გენერალური დირექტორი, აკადემიური დირექტორი, აკადემიურ საქმეთა კოორდინატორი, აკადემიური პროცესების მონიტორინგის მენეჯერი, საგნობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელები, დაწყებითი განათლების პროგრამის კოორდინატორი, სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელი, ინოვაციების მენეჯერი, ინკლუზიური განათლების პროგრამის კოორდინატორი. ასევე, ადმინისტრაციული გუნდი, რომელიც მოიცავს, ფინანსურ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს, იურისტსა და ტექნიკურ დირექტორს. სკოლის შინაგანაწესის მესამე თავში დეტალურადაა გაწერილი და განსაზღვრული სტრუქტურის შემადგენელი ნაწილების ფუნქციები და მოვალეობები.

მიმდინარე საკითხთან დაკავშირებით მოკვლევის დროს, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო გაგვერკვია, ვინ არის პასუხისმგებელი სკოლაში მოსწავლის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოზე. აღნიშნული მიმართულება ფუნქციებში გაწერილი აქვს, როგორც სკოლის აკადემიურ დირექტორს, ასევე სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელს, ჰაუსმასტერებსა და ინკლუზიური მიმართულების ხელმძღვანელს. სკოლაში ვიზიტის დროს გაირკვა, რომ ინკლუზიური მიმართულების ხელმძღვანელი ინფორმირებული იყო აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, თუმცა ვერ შედგა მოსწავლესთან გასაუბრება ხშირი გაცდენების გამო. ყველაზე აქტიურად ამ საკითხის მოგვარებაში ჩართული იყო სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელი. მან ინტერვიუს დროს, დეტალურად ისაუბრა მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებსა და პროცედურებზე პრობლემის მოგვარების მიმართულებით. კონკრეტულად, სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელი სისტემატიურად უკავშირდებოდა მშობელს,

სოციალურ ქსელში დაწყებულ კონფლიქტში მონაწილე მოსწავლეების მშობლებს. ასევე, ესაუბრებოდა მოსწავლეებს სკოლაში. როგორც გაირკვა, სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელის ინიციატივით მოხდა სოციალურ მუშაკთან დაკავშირებაც.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის სტრუქტურა;
- პერსონალის მონაცემები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის შინაგანაწესის ოცდამაცამეტე მუხლში, აღწერილია სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთობის პრინციპები და პასუხისმგებლობები. შინაგანაწესში ვკითხულობთ - „ბაქსვუდის სკოლის და მშობლის ურთიერთობა ეფუძნება ორმხრივ ძალისხმევას ბავშვის საკეთილდღეოდ. შესაბამისად, სკოლა იღებს ვალდებულებას, რომ თავისი მოსწავლის აკადემიური თუ პიროვნული განვითარების შესახებ სრულად ჰყავდეს ინფორმირებული მშობელი“. მშობლებთან კომუნიკაციის ძირითადი წარმმართველია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერი გენერალურ დირექტორთან, სკოლის აკადემიურ დირექტორთან, დაწყებითი საფეხურის კოორდინატორთან და ტექნიკურ დირექტორთან შეთანხმებით. გარდა ამისა, ბაქსვუდის სკოლის ელექტრონული დღიური მშობლებთან დისტანციური კომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა სატელეფონო კავშრთან ერთად. მშობლებთან პირისპისრ კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა ღია კარის დღე, რომელიც ბაქსვუდში მშობელთა კრების ალტერნატიულ მოდელს წარმოადგენს. ყველა მშობელი ვალდებულია სემესტრში, მინიმუმ ერთხელ მაინც გამოცხადდეს ღია კარის დღეზე ინდივიდუალურად მიიღოს კომენტარები მასწავლებლებისა თუ დირექტორისაგან საკუთარი შვილის შესახებ;

მოსწავლის სკოლაში არ გამოცხადების შესახებ, სკოლის მხრიდან სისტემატიურად ხდებოდა მშობლებთან სატელეფონო კომუნიკაცია. სკოლის სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელი და ჰაუსმაისტერი სისტემატიურად ეხმიანებოდნენ მშობელს და სთხოვდნენ მოსწავლის სკოლაში მოყვანას, რაზეც მშობელი სისტემატიურად იმიზეზებდა მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობას და ამ მიზეზით არ დადიოდა მოსწავლე სკოლაში. გარდა ამისა, სკოლას კომუნიკაციის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად დასახელებული აქვს ელექტრონული ჟურნალი. მშობლისთვის ელექტრონული ჟურნალში ასახული ინფორმაცია (გაცდენები, შეფასებები, კომენტარები და ა.შ.) ითვლება ოფიციალური ინფორმაციის მიღების წყაროდ. აღნიშნული ჟურნალის მონიტორინგის შედეგად, მასწავლებლები გაცდენებს სისტემატიურად აღრიცხავდნენ. ინტერვიუს დროს მშობელმა დაადასტურა, რომ სკოლიდან სისტემატიურად ხდებოდა დაკავშირება გაცდენების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება N06/ნ-ის საფუძველზე, 2019 წლის 7 ოქტომბერს, შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისში“ შემუშავებულია დოკუმენტი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი. დოკუმენტში გაწერილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის სკოლის შესაბამისი სამსახურები, რომლებიც ვალდებულნი არიან განახორციელონ პრევენციული ღონისძიებები, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისას, უზრუნველყონ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება შემდეგი უფლებამოსილი პირების საშუალებით: დაცვის სამსახური/დაცვის სამსახურის წევრები;

ჰაუსმასტერები; ტუტორები; სკოლის დირექცია; სკოლის ადმინისტრაცია. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დაცვის სამსახური. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასებას წელიწადში ოთხჯერ ახორციელებენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით, ანონიმურობის დაცვით. შეფასების კითხვარის საფუძველზე სკოლის ტერიტორიაზე სასკოლოს დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში იდენტიფიცირებული პრობლემების მიხედვით, სკოლის ადმინისტრაცია და დირექცია კოორდინაციას უწევს მიღებული ინფორმაციის/უკუკავშირის დახარისხებას, განზოგადებას და ანალიზსს, აღნიშნულის საფუძველზე ერთიანი ანგარიშის მომზადებას და წარდგენას მრჩეველთა საბჭოსათვის.

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებს შორის ზემოაღნიშნული ფაქტი არ მომხდარა სკოლის ტერიტორიაზე და სასკოლო დროს, მოსწავლეებს უთანხმოება სოციალურ ქსელში ჰქონდათ, მნიშვნელოვანია სკოლაში ყოფნის დროს, რამდენად უსაფრთხოდ იგრძნობს მოსწავლე თავს. სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში ზუსტად არის გაწერილი მოსწავლის უსაფრთოხების კუთხით ყველა პასუხისმგებელი პირი. გარდა ამისა, მშობელი ინტერვიუს დროს აცხადებს, რომ მოსწავლეს სკოლაში არ ჰქონია, არცერთი კონფლიქტური შემთხვევა და ბოლო პერიოდში მას ძალიან მოსწონდა სკოლაში სიარული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესში გაწერილია, რომ ადრეულ ეტაპზე ძალადობის პრევენციასა და ძალადობის განმეორების საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით, სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ უზრუნველყოფს ძალადობის რისკების შეფასება მოსწავლეებში და მასწავლებლებში. სკოლა იცავს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ანონიმურობას. მოსწავლეებში ძალადობის რისკების შეფასება არის სკოლის მიერ ძალადობის პრევენციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების საფუძველი. გარდა ამისა, სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, თუმცა მომსახურეობის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ერთ-ერთ ცნობილ ფსიქოლოგიის ცენტრთან. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის მომსახურეობით.

აღნიშნულ წესში გაწერილია, რომ სკოლა ვალდებულია მოსწავლეებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში უზრუნველყოს დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის მედიაცია, მათი კანონიერი წარმომადგენლების და უფლებამოსილი პირების ჩართულობით. ზემოთაღნიშნული ვალდებულების ეფექტურად განხორციელების მიზნით, სკოლა ახორციელებს ჰაუსმასტერებისა და ტუტორების პროგრამას. გარდა ამისა, სკოლაში არის ინკლუზიური მიმართულებით კოორდინატორი, რომელიც პროფესიით არის ფსიქოლოგი და საჭიროების შემთხვევაში, ის ახდენს რეაგირებას.
სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს, აღნიშნა, რომ რამდენჯერმე ჰყავდა დაბარებული კონფლიქტში მყოფი მოსწავლეების მშობლები სკოლაში კონფლიქტის მოგვარების მიზნით. მისი თქმით, რამოდენიმე საუბრის შემდეგ აღნიშნული უსიამოვნება მოგვარდა. გარდა ამისა, მოსწავლის მშობელი (მამა) აცხადებს, რომ მოსწავლეს ახალი მეგობრები ჰყავს და ძალიან კარგად გრძნობს თავს, მას ძალიან უხარია სკოლაში სიარული და ბოლო პერიოდში არ გაუცდენია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისში“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი;
- ინტერვიუ სკოლის წარმომადგენელთან;
- ინტერვიუ მშობლებთან

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, სადაც გაწერილია მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომის სახეები, სახდელები, დისციპლინური სახდელის შეფარდება. ბაქსვუდის თითოეულ მოსწავლეს აქვს წარმატების პასპორტი, რომლის ტარება სავალდებულოა სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე. პასპორტში კეთდება ჩანაწერები მოსწავლის ქცევის, გამორჩეული მიღწევისა თუ დისციპლინარული დარღვევის შესახებ. ასეთი ჩანაწერების გაკეთების უფლება აქვს სკოლის ნებისმიერ თანამშრომელს და ცალკეულ შემთხვევებში სკოლის მთავარ მოსწავლეს. თითოეული კომენტარის მიხედვით, მოსწავლეებს სკოლის აკადემიური დირექტორი ანიჭებს გარკვეულ ქულებს, რომლებიც ხდება მოსწავლის არააკადემიური რეიტინგის და ჰაუსის რეიტინგის განმსაზღვრელიც.

მოსწავლის მთავარი უფლებაა განათლების მიღების უფლება, იქიდან გამომდინარე, რომ სისტემატიური გაცდენებით მოსწავლის უფლება ირღვეოდა, სკოლის დირექციამ სატელეფონო ზარის მეშვეობით მიმართა სოციალურ სამსახურს მიმართა ამის შესახებ. სოციალური სამსახურის ჩართვის შემდეგ, მოსწავლე სკოლას აღარ აცდენს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ სკოლის წარმომადგენელთან;
- ინტერვიუ მშობლებთან.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

ბაქსვუდი საერთაშორისო სკოლაში მოსწავლის შეფასებების შესახებ ინფორმაციას ვკითხულობთ სასკოლო სასწავლო გეგმის 8.3 თავში. კერძოდ, წლიური არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, მოსწავლეს დაენიშნება წლიური საშემოდგომო გამოცდა. საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლისათვის იქნება აკადემიური მხარდაჭერის დამატებითი მექანიზმი - რემედიაციის პროგრამა. რემედიაციის პროცესის უმთავრესი მიზანია მოსწავლისთვის დამატებითი მხარდაჭერის გამოცხადება, აკადემიური სირთულეების დაძლევაში დახმარება. საგნის მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ინიშნება პირველადი საკონსულტაციო შეხვედრა კონკრეტული საჭიროებებისა და სირთულეების განსასაზღვრად, რემედიაციის პროცესის შემდგომი ნაბიჯების გასაწერად. რემედიაციული შეხვედრები საგნის მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ხორციელდება „პრეპის“ პერიოდში აკადემიური სირთულის აღმოფხვრამდე. საშემოდგომო გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში, შესაბამისი საგნის მასწავლებელი უზრუნველყოფს კონკრეტული რემედიაციული პროგრამის გაწერას და მის ფარგლებში, მოსწავლეს უნიშნავს საკონსულტაციო შეხვედრებს/დამატებით გაკვეთილებს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე.

სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, რომ საშემოდგომო გამოცდაზე ჩაჭრის შემთხვევაში:

ა). საშუალო საფეხურის მოსწავლე ავტომატურად ტოვებს სკოლას ან კლასს გადის ხელმეორედ;

ბ). საბაზო საფეხურის მოსწავლე კლასს გადის ხელმეორედ.

ჩაჭრილი მოსწავლისათვის დამატებითი შანსის მიცემის საკითხს განსაზღვრავს სკოლის აკადემიური დირექტორი. **სკოლას ეძლევა რჩევა: ჩაჭრილი მოსწავლესთვის შანსის მიცემის კრიტერიუმები დააზუსტოს და გახადოს გამჭვირვალე, რათა გამოირიცხოს სუბიექტური დაგაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.**

სკოლის შინაგანაწესში (პუნქტი 21.6) ვკითხულობთ, რომ თუ **მოსწავლეს წლის განმავლობაში გაცდენილი აქვს სასკოლო დღეების 40%-ზე მეტი, მოსწავლე ავტომატურად ტოვებს სკოლას. თუ მოსწავლეს სასკოლო დღეების 40%-ზე მეტის გაცდენა უწევს ობიექტური გარემოებების გამო (მაგალითად, დროებით საზღვარგარეთ წასვლა), ამის შესახებ, მშობელმა წინასწარ უნდა შეატყობინოს სკოლას და მიიღოს სკოლის აკადემიური დირექტორის თანხმობა.** აღნიშნული რეგულაცია ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმის მე-8 მუხლის მე-10 პუნქტს, რომლის მიხედვითაც <u>თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.</u> სკოლის შინაგანაწესის 20.9 პუნქტის მიხედვით: <u>ნებისმიერი განსხვავება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შეფასების სქემებსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ შეფასების კომპონენტებს შორის შესაბამისი სასწავლო წლის დაწყებამდე აუცილებლად უნდა შეთანხმდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.</u> **უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შეთანხმება (თუკი არსებობს) სკოლას არ წარმოუდგენია თავისი ინიციატივით და არც ექსპერტებს მოუთხოვიათ, რადგან ამ ჩანაწერის შესახებ ექსპერტთა ჯგუფისთვის მხოლოდ ვიზიტის შემდეგ გახდა ცნობილი, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა ექსპერტთა ჯგუფი სასკოლო დოკუმენტაციის გაცნობის შესაძლებლობა ვიზიტამდე არ ჰქონდა, რადგან ვიზიტი იყო არაგეგმიური მონიტორინგი.**

დაწესებულება არგუმენტირებული პოზიციის ცენტრში გამოგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ შინაგანაწესის ის ნორმა, რომელზეც დაფიქსირდა ხარვეზი, შინაგანაწესის ძველი ვერსიის ჩანაწერია შეცდომითაა ჩარჩენილი ექსპერტებისთვის მიწოდებულ ვერსიაში. სკოლამ განმეორებით გადმოაგზავნა შინაგანაწესის სწორი და გამართული ვერსია, რომელიც ვებგვერდზეც მოიპოვება, ამ გარემოების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა სკოლის პოზიციას, შესაბამისად ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში

ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

ამ ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემოწმების საჭიროება წარმოიშვა იმ გარემოების გამო, რომ ზემოაღნიშნული შემთხვევის მოკვლევისას გამოიკვეთა და საინტერესო გახდა როგორ შეფასდებოდა მოსწავლე, რადგან აღმოჩნდა, რომ საბაზო

საფეხურის მოსწავლე ნ.ვ.ს შესაძლოა გაცდენილი ჰქონდა გაკვეთილების დიდი ოდენობა, რაც, ეროვნული სასწავლო გეგმის მე-8 მუხლის მე-10 პუნქტის ამოქმედების საფუძველს ქმნიდა, რომლის მიხედვითაც <u>თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.</u>

რადგან მონიტორინგის ვიზიტი იყო არაგეგმიური, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფს წინასწარ არ ჰქონდა სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის საშუალება და დეტალურად მხოლოდ ვიზიტის შემდეგ გაეცნო, მას შემდეგ რაც სკოლამ ვიზიტის დროს გამოაგზავნა ისინი. გადმოგზავნილ დოკემენტებს შორის იყო ელექტრონული ჟურნალიდან ამ კონკრეტული მოსწავლის დასწრების შესახებ ინფორმაციაც, საიდანაც გაირკვა, რომ მოსწავლეს თითქმის ყველა საგანში გაცდენილი აქვს წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი.

ექსპერტთა ვიზიტის დროს ჯერ კიდევ მოქმედებდა განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ 2025 წლის 13 ივნისის MES 4 25 0000667418 ბრძანება, რომლითაც დადგენილი იყო 30%-იანი ექსტერნის სარეგისტრაციო ვადები (ვიზიტი შედგა 18 ივნისს, სარეგისტრაციო ვადად გამოცხადებული იყო 2025 წლის 16 ივნისიდან 2025 წლის 19 ივნისის ჩათვლით პერიოდი), ამიტომ შესძლოა სკოლამ ვიზიტის შემდეგ კიდეც დაარეგისტრირა მოსწავლე ექსტერნის გამოცდაზე კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე **სკოლას ეძლევა რჩევა: იხელმძღვანელოს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებით და ხელი შეუწყოს მის მიერ განათლების მიღების უფლების შეუფერხებლად განხორციელებას.**

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გადმოაგზავნა მოსწავლის ექსტერნის გამოცდაზე დარეგისტრირების მტკიცებულება - ელექტრონულ სისტემის ეკრანული ანაბეჭდი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

ბაქსვუდის სკოლაში გამოყოფილია დამატებით მეცადინეობის დრო, ე.წ. "პრეპი" (Prep Time), დღეში მინიმუმ 1 ან 2 საგაკვეთილო პერიოდი. მასწავლებელი უფლებამოსილია, შესაბამისი საფეხურის ხელმძღვანელის მითითებით, ან დამოუკიდებლად, საჭიროებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს დაუნიშნოს დამატებითი ინდივიდუალური და/ან ჯგუფური მეცადინეობა "პრეპის" პერიოდში.

იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული მოსწავლე ძალიან ხშირად აცდენდა სკოლას, ხშირად ვერ სარგებლობდა პრეპ თაიმით. სკოლის წარმომადგენლებთან და მშობლებთან ინტერვიუს დროს, ორივე მხარემ აღნიშნა, რომ სკოლაში გამოცხადების შემდეგ, მოსწავლეს მასწავლებლები უტარებენ დამატებით მეცადიენობას, რათა დაძლიოს გამოტოვებული მასალა. ელექტრონული ჟურნალის შემოწმების შედეგად, მოსწავლეს გარკვეულ საგნებში არ აქვს დამაკმაყოფილებელი შეფასება, რის გამოც აქტიურად ცდილობდა სკოლა დამატებით მომსახურების გაწევას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

თარიღი 09.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნოდარ ანგურიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თამარ ჯაფარიძე